



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 974 /ი

18 10 2019წ.

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 30 სექტემბრის №1293485 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში და ბრძანების მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, მონიტორინგის ფარგლებში, მონაწილე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ანაზღაურება ხორციელდება ცენტრის დირექტორის შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებული კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტის დღიური ანაზღაურების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა განსხვავდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებულისგან.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისათვის დღიური ანაზღაურება შეადგენს 100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 200 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო/უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისთვის დღიური ანაზღაურება შეადგენს ამ მუხლის მე-3/მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დღიურ ანაზღაურებას.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ მახარაშვილი